საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ბერნის 1979 წლის 19 სექტემბრის, „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ რატიფიცირების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1567 დადგენილება - სსმ III, №98, 07.08.2009 წ., მუხ.1075

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. რატიფიცირებულ იქნეს ,,ბერნის 1979 წლის 19 სექტემბრის „„ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია“.

საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1567 დადგენილება - სსმ III, №98, 07.08.2009 წ., მუხ.1075

2. ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ რატიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

ა) ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ 22-ე მუხლის თანახმად, საქართველო იტოვებს უფლებას, არ გაავრცელოს კონვენციის მე-5 მუხლის პირობები კონვენციის I დანართში შეტანილი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული შემდეგი სახეობების მიმართ:

Marsilea quadrifolia L. მარსილია

Salvinia natans L. All. სალვინია

Vaccinium arctostaphylos L. კავკასიური მოცვი

Dracocephalum ruyschiana L. დრაკოცეფალა

Cyclamen coum Mill. ყოჩივარდა

Typha minima Funk ლაქაში

Zostera marina L. (Med) ზოსტერა

Kosteletzkya pentacarpos (L.) Ledeb კოსტელეცკია

Paeonia tenuifolia L. იორდასალამი (ლალა);

ბ) „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ 22-ე მუხლის თანახმად, საქართველო იტოვებს უფლებას, არ გაავრცელოს კონვენციის მე-6 მუხლის პირობები კონვენციის II დანართში შეტანილი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული შემდეგი სახეობების მიმართ:

<u>ფრინველები:</u>

Merops apiaster ოქროსფერი კვირიონი

Melanocorypha calandra ველის ტოროლა

Motacilla alba თეთრი ბოლოქანქარა

Emberiza cia კლდის გრატა

Sturnus roseus ვარდისფერი შოშია (ტარბი)

<u>რეპტილიები:</u>

Natrix tessellata წყლის ანკარა

<u>ამფიბიები:</u>

Bufo viridis მწვანე გომბეშო;

გ) „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ 22-ე მუხლის თანახმად, საქართველო იტოვებს უფლებას, არ გაავრცელოს კონვენციის მე-6 მუხლის პირობები კონვენციის II დანართში შეტანილი საქართველოს

ტერიტორიაზე გავრცელებული გარკვეული სახეობების მიმართ, და უზრუნველყოფს მათ მიმართ კონვენციის მე-7 მუხლით განსაზღვრულ დაცვას, ანუ განიხილავს მათ, როგორც კონვენციის III დანართში შეტანილ სახეობებს. ეს სახეობებია:

<u>ძუძუმწოვრები:</u>

Canis lupus მგელი
Ursus arctos მურა დათვი
Felis silvestris გარეული კატა

<u>ფრინველები:</u>

Ixobrychus minutus მცირე ყარაულა
Accipiter nisus მიმინო
Accipiter gentilis ქორი
Buteo buteo ჩვეულებრივი კაკაჩა
Sterna albifrons მცირე თევზიყლაპია
Sterna hirundo ჩვეულებრივი თევზიყლაპია
Otus scops წყრომი
Upupa epops ოფოფი
Coracias garrulus ყაპყაპი
Dendrocopos major დიდი ჭრელი კოდალა
Hirundo rustica სოფლის მერცხალი
Delichon urbica ქალაქის მერცხალი
Eremophila alpestris რქოსანი ტოროლა
Motacilla flava ყვითელი ბოლოქანქარა
Lanius collurio ჩვეულებრივი ღაჟო
Prunella modularis ტყის ჭვინტაკა
Prunella collaris ალპური ჭვინტაკა
Oenanthe oenanthe ჩვეულებრივი მეღორღია
Oenanthe finischii თეთრზურგა მეღორღია
(მელოტჩიტა)
Oenanthe isabellina ბუქნია-მეღორღია
Phoenicurus ochruros შავი ბოლოცეცხლა
Phoenicurus phoenicurus ბოლოცეცხლა
Erithacus rubecula გულწითელა
Parus major დიდი წივწივა (წიწკანა)
Parus caeruleus მოლურჯო წივწივა (წიწკანა)
Sitta europaea ჩვეულებრივი ხეცოცია
Troglodytes troglodytes ჭინჭრაქა (ღობემძვრალა)
Emberiza melanocephala შავთავა გრატა
Carduelis cannabina ჭვინტა (მეკანაფია)
Carduelis carduelis ჩიტბატონა
Carduelis spinus შავთავა მწვანულა
Carduelis chloris მწვანულა;

<u>რეპტილიები:</u>

Vipera lebetina გიურზა
Ophysaurus apodus გველხოკერა

Coluber najadum წენგოსფერი მცურავი
Coronella austriaca სპილენძა;
<u>ამფიბიები:</u>
Hyla arborea ჩვეულებრივი ვასაკა;
დ) „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ 22-ე მუხლის თანახმად, საქართველო იტოვებს უფლებას, არ გაავრცელოს კონვენციის მე-7 მუხლის პირობები კონვენციის III დანართში შეტანილი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული შემდეგი სახეობების მიმართ:
<u>ძუძუმწოვრები:</u>
Sciurus vulgaris ჩვეულებრივი ციყვი
<u>თევზები:</u>
Coregonus ორაგული (ყველა სახეობა);
ე) „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ 22-ე მუხლის თანახმად, საქართველო იტოვებს უფლებას, შეასრულოს კონვენციის IV დანართის პირობები ფაუნის სახეობების დახოცვისა და დატყვევების აკრძალული მეთოდებისა და საშუალებების შესახებ, შემდეგი პირობებით: ,,საქართველო ეთანხმება ხაფანგებისა და მარყუჟების გამოყენების აკრძალვას, მაგრამ უშვებს მათ მიზანმიმართულ და სპეციფიკურ გამოყენებას ძუძუმწოვრების დასაჭერად მხოლოდ სამეცნიერო მიზნებით, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დაკავშირებულია კონკრეტული პრობლემატური ინდივიდის ბუნებიდან ამოღებასთან.

საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1567 დადგენილება - სსმ III, №98, 07.08.2009 წ., მუხ.1075

3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი საქართველოს პარლამენტის მიერ „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ რატიფიცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1567 დადგენილება - სსმ III, №98, 07.08.2009 წ., მუხ.1075

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე დ. ბაქრაძე
თბილისი,
2008 წლის 30 დეკემბერი.
№940–რს

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1567 დადგენილება - სსმ III, №98, 07.08.2009 წ., მუხ.1075